საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

03/06/2022
N 09-02-16/306

306-09-02-16-2-202206031624

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრს ქალბატონ მაია ხაჯიშვილს

სადეპუტატო კითხვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ:

1. მოგვაწოდოთ ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში განათლების ხელშეწყობის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მიღების დღიდან დღემდე ამავე კანონის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტების ასლები;
2. გვაცნობოთ რა შეიცვალა კანონის მიღების შემდეგ, კერძოდ:

   ა) არ არსებობდა ნორმა/ქცევის წესი სხვა ნორმატიულ აქტებით გათვალისწინებული და დაარეგულირა ახალმა კანონმა,

   ბ) არსებობდა ნორმა/ქცევის წესი სხვა ნორმატიულ აქტებით და შეცვალა ახალმა კანონმა,

   გ) ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად რა გადაწყვეტილებები მიიღეთ დღემდე,

   დ) რა ცვლილებები განახორციელდა კანონის მიღების შემდეგ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში? გხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი ცვლილებების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები.

3. იღებდით თუ არა კანონპროექტის მომზადებაში მონაწილეობას, რა ფორმით და რა მოსაზრებები იქნა წარდგენილი თქვენს მიერ, მათ შორის ხედავდით თუ არა აღნიშნული კანონის მიღების აუცილებლობას და რატომ?
4. რამდენად ეფექტირად მუშაობს კანონი და ხომ არ ფიქრობთ რომ შესატანია ცვლილებები, გასაუქმებელია მისი უმოქმედობის გამო, რადგან ისედაც სხვა ნორმატიული აქტები არეგულირებს მსგავს ქცევის წესებს?

პატივისცემით,

გია აბულაძე

საბჭოს წევრი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები